წელიწადი პირველი. — № 1 1906 სამშაბათი 28 ნოემბერი

F-683
1906

ძალა

ფასი გაზეთისა:
წლით 2 მ. 50 კ. ნახევარი წლით 1 მან. 25 კაპ.; ოთხი თვით 1 მან.; ერთი თვით 20 კაპ.; ხელის მოწერა მიიღება: პუშკინის [illegible], სახლი № 12, რედაქცია „ძალა“.

[illegible]ედაქცია ღიაა დილ. 9-12 ის [illegible]საღამოზედ 3-6 საათამდის.

[illegible]ცხადების ფასი სტრიქონი 10 კაპ.

ძალა სძლევს ძალას. ძალა მოგვცემს თავისუფლებას. ძალა აღადგენს საწყალ ხალხსა, საწყალ არსებას; მხოლოდ ძალაა ძალის მტერი, დამამხობელი, იმით გვსურს ვპოოთ დღე ბედნიერი, და დღე ნათელი.

ფ[illegible] 5 კაპ.

F 3129

ყოველ კვირეული გაზეთი.

ჟექილი ბარნაბ მიზარბეგის ძე

—ლოლაძე.—

აწარმოებს ყოველ გვარ სისხლის სამართლის, სამოქალაქო, გამიჯვნის, განქორწინების და სხვა სამოსამართლო საქმეებს.

ადგენს: ყოველ-გვარ პირობებს, მედიატორულ განჩინებებს, ნასყიდობებს და სხვებს.

შეუძლებელთა და ხელ მოკლეთა ინტერესებს იცავს სრულიად უსასყიდლოდ.

ადრესი: ქ. ქუთაისი. სასტუმრო „ცენტრალური“ № 12

ჩვენი ხელ-მეორეთ გამოსვლა.

ხანგრძლივ სიჩუმის შემდეგ ისევ წავდექით საზოგადოების წინაშე ჩვენი ჰროგრამით, ჩვენი იდეალითა. ამ გაზეთში ვეცდებით აგრეთვე ჩვენი ბრძოლის საშუალებათა აღნუსხვასა და განმარტებას.

მოძრაობის დასაწყისში ჩვენც გამოვჩნდით რუსეთის რევოლიუციის ჰორიზონტზედ, ჩვენც შევიტანეთ ჩვენი წვლილი საერთო მოძრაობაში და საზოგადო აზრის მიმდინარეობაში, შემლებისა და გვარად, რასაკვირველია. რეაქციის დაწყების დროს ჯერ კიდევ არ იყო სრულიად მოსპობილი ჰრ[illegible]ის თავისუფლება, და ჩვენც შემლებისა და გვარად ვისარგებლეთ ამ ჰრესსის თავისუფლებითა, და ჩვენ მიერ გამოცემულ გაზეთებში ვაღვიარეთ ჩვენი profession defia, განვმარტეთ ჩვენი ჰროგრამმა, ჩვენი იდეალი, ჩვენი ტაქტიკა ბრძოლისა, განსაკუთრებით ჩვენი შეხედულობა რევოლიუციაზედ. შემდეგ გაძლიერებულმა რეაქციამ ერთის მხრივ, და უსახსრობამ მეორეს მხრივ, მოჭკლა ჩვენი გაზეთები და აქამდის ჰრესსის საშუალებით ჩვენი

[illegible] 1952 წ.

ხმა არავის სმენია. ეხლა ისევ წარუსდგებ-ბით საზოგადოების წინაშე და განვიმეორებით იმას, რაც წინად გვრწამდა და ამიგვაჩნდა უმთავრეს საშუალებათ ჩვენი რევოლიუციის გაძარჯვებით დაგვირგვინებისათვის. ჩვენი მიზანია თანამედროვე კერძო-საკუთრების რეჟიმის მოსპობა, მოსპობა ყველა იმ დაწესებულებათა, რომელნიც განამტკიცებენ კერძო-საკუთრების წესწყობილებას და მოწყობა მწარმოებელ კომუნებისა, თავისუფალ მშრომელთაგან შემდგარ-ნაგებთა, სადაც აღარ იქნება აღარც კერძო მფლობელი სიმდიდრისა, აღარც კაპიტალისტი და აღარც მექანიკული, არამედ ყველა იმუშავებს თავის ამხანაგებთან ერთად თავისუფლად, შეძლებისა და გვარად, და ყველა დაიკმაყოფილებს თავის ყველა საჭიროებათა იმ მოთხოვნილებათა მიხედვით, რომელნიც აღუჩნდება ოჯაველ მწარმოებელ ჰირონენებს თავისუფლად მოწყობილ წარმოებით საზოგადოებაში. ჩვენ ვიცით, რომ თანამედროვე სახელმწიფო, რომელიც ჰოლიტიკური ფორმაა თანამედროვე კერძო-საკუთრების ურთიერთობათა, და დასაბამიდან ძალ-დამტანებელ და მხეცურ დაწესებულებით, და აგრეთვე განსაზღვრული ტერიტორიით, ხელოვნურად დანიშნული საზღვრებით, რომელიც დაცულია კბილებამდის შეიარაღებული ჯარითა და რომელიც ჰყოფს ეროვნებათა და ქადაგებს მათ შორის წინააღმდეგობასა და მტრობას; ჩვენ ვიცით რომ თანამედროვე განვითარება ისტორიულად კაპიტალიზმთან ერთად და მისი განუშორებელი ძმა და დამცველია, და არ შეიძლება მეორეს ებრძოლო, თუ იმავე დროის არ ებრძოლე მეორესაც; ჩვენ ვიცით ყოველივე ეს, და ამიტომაც არის ჩვენი მიზანი მოსპობა ყველა სასულმწიფო დაწესებულებათა, რომ ამითი მოისპოს თანამედროვე ეკონომიური დაწესებულებანიც, რომლის დამცველნი სასულმწიფო დაწესებულებანი არიან,-მოსპობა საზღვართა ერთაშორის ძმობისა და ეროობის დასამყარებლად, მოსპობა ყოველივე ბრძოლისა, შურისა და მტრობისა ადამიანთა შორის,-ეკონომიურის, ჰოლიტიკურის, საეროებრივის და ერთგულის, და დამყარება ნამდვილი, თავისუფალი და კომუნისტურ-წარმოებითი საზოგადოებისა, სადაც ადგილი აღარ ექმნება ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრასა და ექსპლოატაციას. მაგრამ ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ ყველა თანამედროვე დაწესებულებანი, ვენ ვიცით აგრეთვე, რომ ყველა თანამედროვე დაწესებულებანი, რომელთა დანგრევაც ჩვენი მიზანია, ძალდატანებით არიან წარმოშობილი, მათ განკითარებაში ძალ-დატანებას უთამაშია უმთავრესი როლი, და ამიტომ მათი მოსპობისათვის საჭიროა საშინელი ძალ-დატანება, რომელიც არა არის რა, გარდა ყველა თანამედროვე ეკონომიურ და ჰოლიტიკურ დაწესებულებათა მოსპობისა, და იმგვარ დაწესებულებათა შექმნისა, რომელთა შეწყობით შესაძლებელი იქნება სრულიად თავისუფალ კომუნისტურ საზოგადოებაში

ეროვნების სრული და უოველ მხრივ განკითარება. ბოლოს, ჩვენ ვიცით, რომ ისტორიის ქმნა კითარებაში, ოველა დიდი რეკოლიუციები სექიხსენებული მისწრაფებისა და ხასიათისა იყო, და დიდი რუსეთის რეკოლიუციაც არ წარმოადგენდა ამ ისტორიის ამ საერთო წესიდან. განსაკუთრებით საქართველოში იჩინეს თავი როგორც ამ მისწრაფებამ ერთობისაკენ და თავი სუფლებისაკენ, ისე ძალ-დატანებითმა ხასიათმა რევოლიუციისამ, და ამიტომ უარ-ვყოფდით ჩვენ მოძრაობის დროს რეკოლიუციის შეჩერებას, ვცდილობდით რაც შიეძლება ღრმა კონსტიტუციური და ფართო თავისუფალი ეროვნულიურ ამ რეკოლიუციის მაქმოძრავებელი ეკვეში,—ამიტომაც დავეგმეთ ჩვენ, როგორც საბოლოო წერტილი თანამედროვე რეკოლიუციისა,—კონსტიტუცია, დემოკრატიული-რესპუბლიკა, ცენტრალისტური და ფედერატიულიც,—დავეგმეთ ეგრედ წოდებული პროგრამა მინიმუმი სოციალისტთა და გვადაქებდით წმინდა ანარქიულ სოციალიზმს თვით რეკოლიუციის პროცესში, აგრეთვე როგორც მის სასურველსა და საჭირო შედეგს. ამით განყარჩოდით ჩვენ ოველა სხვა პარტიათაგან.

საქართველოში სწორედ მითი დაიწყო ნამდვილი რევოლიუცია, რომ ხალხმა უარ-ჰყო ოველა სახელმწიფო დაწესებულებანი. შემდეგ იგი შეუდგა კერძო-საკუთრების უარყოფას. ჯერ სოფლებში დაიწყეს პროცესსი. შემდეგ ქალაქებში აუცილებელი იქმნებოდა, რომ დასცლოდა ამ საოველთაო დანგრევის პროცესს განგრძობა, ხალხი უკვე აღსდგა, იარაღი აისხა და პირდაპირ, ძალით შეეჯახა არსებულ ეკონომიურ და პოლიტიკურ წესწყობილებას. ამათი საესებით გამოიხატა რევოლიუციის ნამდვილი სოციალური სული. მაგრამ რეაქციამ, სწორედ ძალ-დატანებით, ცეცხლით და მახვილით დაამარცხა რევოლიუცია, და მთელი ერთი წლის ხალხის წამებითა და ვანადგურებით აღადგინა ისევ დანგრეული დაწესებულებანი. პოლიცია, სამხედრო ბეგრის გადახდა, გადასახადები, მემამულეთა უფლებანი, ერთი სიტყვით ყოველივე ისე რაც დაახასიათებს თანადროვე ეკონომიურსა და პოლიტიკურს წესწყობილებას. ამაში გამოიხატა რეაქციის სული. ჩვენ ზემოხსენებულად გვესმოდა ყოველთვის რევოლიუცია, ეხლა, რეაქციაც ისე გვესმის, როგორც ეგი ნამდვილად მძვინვარეობს და გვანადგურებს, მათი სხვანაირად გაგება ჩვენ არა გვწამს, რეაქციის სისასტიკის განსაზღვრას ჩვენ ვერ გადავასხვაფერებთ, ვერც რევოლიუციის აზრს გავიგებთ, როგორც სხვა დანარჩენი პარტიანი. ამიტომაც ჩვენი მიზანია ძველის დაბრუნება, დაბრუნება იმ ხანისა, რომელიც რეაქციას წინ უძღოდა. ისევ სრული უარ-ყოფა თანამედროვე ეკონომიური მონობისა და პოლიტიკურ-მონურ დაწესებულებათა, სრული განთავისუფლება გლეხთა და ოველა მიწების გადაცემა სოფლის საზოგადოებათა ხელში, აგრეთვე გადაცემა ოველა ქარხანათა და ფაბრიკათა თავისუფალ მუშათა კავშირების გამგეობაში. საჭიროა აგრეთვე ნამდვილი შეგნება მუშა ხალხის მიერ იმ ჭეშმარიტებისა, რომ წარმოების მოწყობა კომმუნისტურ საფუძველზედ მხოლოდ მათ შეუძლიანთ, რომ გორც წარმოების ერთად-ერთ მცოდნეთა და ერთად-ერთ მხარჯავთ საწარმოო ენერგიისა. საჭიროა ბოლოს იმის შეგნება, რომ პირველი აქტი გამარჯვებული მწარმოებლისა უნდა იყოს სწორედ ექსპროპრიაცია და წარმოების მოწყობა, და არა ახალი პოლიტიკურ-ბურჟუაზიულ სახელმწიფოს დაარსება, როგორც ესა ჰგონიათ ეგრედ წოდებულ პოლიტიკურ პარტიათა. მაგრამ რადგანაც დღეს რეაქცია ისეთსავე მძლავრ ფიზიკურ ძალას წამოაღგენს, როგორც რევოლიუციის წინ არსებული რე-

ეიმი, მაშასადამე ეხლაც უნდა ეცადოს ხალხი შეიკრიბოს აუარებელი ძალა რეაქციის ძალის ძალითვე დასანგრევად. ჩვენ ყოველთვის ვაღვიარებდით ამ პრინციპებს: როგორც მშვიდობიან დროს, ისე რევოლიუციონურ ხანაში, ამ რეაქციის სუსხშიდაც ისევ ძველებურად გავაყოდავთ ამ ჭეშმარიტებათა საჭიროდ აღიარებას და თუ ხმა არ ჩაგვაწყვეტიეს, შეუდგებით ამ პრინციპების გბნმარტებას და ხალხში გავრცელებას.

ჩემი კგირეული.

20 ნოემბერს ქუთაისის ოლქის სასამართლოში დანიშნული იყო გასარჩევად საქმე გიგა ჯუღელისა, ოთარასე რევაზიშვილისა, დომენტი მესხიეიშვილისა, ლუკა ბექაიასა, პავლე შავლაყაძისა და რაჟდენ ზიბზიბაძისა, რომელთაც ბრალდებოდათ დარაჯებზე თავს დასხმა და პოლიტიკურ დამნაშაველების განთავისუფლება, რომლის დროსაც მოკლული იქმნა დარაჯების მიერ ლეჟავა, რადგან დამნაშავე ბექაია და უმთავრესი მოწმეები არ გამოცხადდნენ, ამიტომ საქმე შემდეგ დროისთვის გადაიდო. დამნაშავეთაგან გამოცხადდნენ მხოლოდ შავლაყაძე და ზიბზიბაძე; ჯუღელს დაეძებენ, რევაზიშვილი კაზაკებმა მოჰკლეს ამ წლის იანვარში, მესხიეშვილი ცივ ქვეყანაში ყოფილა გადასახლებული. ამ საქმეზე მოწმეებათ სხვათა შორის დაბარებულნი იყვნენ ცნობილი ყვირილის რაინდები ბოქაული მახარაძე და სტრაჟნიკი ქარქაშაძე. ამავე სასამართლოში 24 ნოემბრისათვის დანიშნული იყო საქმე შორაპნის მაზრის გლეხების ირაკლი, ალფეზა და პარმენ ჯიხვაშვილებისა, რომლებიც ადგილობრივი მამასახლისის ნიკოლოზ ჯიხვაშვილის წყალობით იქმნენ პასუხის გებაში მიკემულნი, რომ მათ სიტყვით შეურაცყოფა მიაყენეს მეფესა და სახლეულობას. გლეხებს იცავდა ვექილი ბ. მ. ლოლაძე.

სოფელ ქვიტირის მცხოვრებს მოვაჭრე ილარიონ ჭეიშვილს შემდეგ ნაირის თხოვნით მიუმართავს გუბერნატორისთვის: „რადგანაც ბოროტ-განმზრახველები და სხვა და სხვა აგიტატორები და ტერროორისტები მემუქრებიან სიკვდილით, ვინაიდგან მე არ თანაუგრძნობ მათ, ამისთვის გთხოვთ ნება დამრთოთ შევინახო და ვატარო: ხანჯალი, რევოლვერი ლეკური და თოფი“.

ამას წინეთ ბომბით დაჭრილი გოროდოვოი სულტანი ახტეგიევი მომჯობინდა და უკვე შეუდგა თავის სამსახურის აღსრულებას. ცოტას კოჭლობს, მაგრამ მაინც არას უშლის რომ უდანაშაულო მოქალაქეს შეურაცყოფა მიაყენოს გაჩხრეკით, დაჭერით და თითქმის გალახვითაც. ის საზოგადოთ პატრულებს უძღვება ხოლმე და როგორც კი დაინახავს მას ხალხი, მაშინათვე აქეთ-იქით გარბის, ეშინია ვაი თუ კიდევ ესროლონ ბომბი და უბრალოთ არ გამომჭყლიტონ შუაში. ამბობენ ვაჭრებმა დეპუტაცია გაუგზავნეს გუბერნატორს თხოვნით, რომ ეს გოროდოვოი აქედან წიიყვანონ სადმეო, მაგრამ დღემდის არაფერი ისმის.

—რეალულ სამწავლებელში მოწაფენი თითქმის ყოველ დღე ისერიან პეტარდებს. ამბობენ სასწავლებელს დღეს უკანასკნელი გაფრთხილება მოსვლია მთავრობისაგან და თუ კიდევ განმეორდა დაკიტვით ემუქრებიან.

—დიდ შეევიწროებას აყენებს მცხოვრებლებს თფილისის ქუჩაზე (გამრეკელის სახლში) მოთავსებული ყაზარმა გამველელ-გამომველელს. ქუჩაში მუდამ ტალახი დგას და ქვა-ფენილებიც იქითა-აქეთა მხარეს ნამეტნავათ ვიწროა რადგანაც ამ ვიწრო ქვა-ფენილზე ხიშტიანები დარაჯები დგანან. ამიტომ კაცს შიშით ახლოს ვერ გაუვლია, მიუხედავად იმისა, რომ დღისით ამ გზაზე გავლა ნება-დართულია, ღამით აქ გასვლა თურმე აკრძალული ყოფილა და მიადგები თუ არა ამ ყაზარმას, დარაჯი მაშინათვე შემოგეკივლებს: „не ходи суда, а то... не знаешь воспрещено“ ო, და ამ გვარ უეცრივ თოფიან დარაჯის დაყვირება კაცს ცუდ დღეს აყენებს და ტლაპოში ვარდება.

—11 იანვრისთვის თფილისის სასამართლო პალატა აქ გაარჩევს პოლიტიკურ საქმეს ბ. ნიკო ბერიძისა.ს ბ. ბერიძეს ბრალს სდებენ იმაში, რომ მან გადასთარგმნა რუსულიდან ქართულად წიგნაკი სახელ-წოდებით. „რა უნდა გ[illegible]ეხს“, რომელიც აღელვებს და იწვევს ხალხს არსებულ წეს-წყობილების დასამხობად. როგორც საბრალმდებლო ოქმიდან სჩანს ამ წიგნაკის განხილვიდან აღმოჩენილა რომ მისი უცნობი ავტორი, აღწერს რა გაზვიადებულად გლეხების მდგომარეობას რუსეთში, სხვათა შორის ლაპარაკობს: „როგორც მზე არ ამოვა დასავლეთით, ისე მუშა ხალხი ველარ ელირსება სამართალს ჩინოვნიკურ, თავად-აზნაურულ და ვაჭრულ მართვა-გამგეობისაგან. მხოლოდ თვით მუშა ხალხს შეუძლია მოიპოვოს ბედნიერება, მხოლოდ ბრძოლაში ჰპოებს იგი თაგის უფლების მან უნდა ღაამხოს ჩინოვნიკური თვით-ნებობა და საკუთარ ხელთ იგდოს სახელმწიფოს მართვა-გამგეობა, მასთან ერთად მან უნდა ჩამოართვას ხალხის საზოგადო სასარგებლოდ მთელი რუსეთის მიწები მინდვრები, ველები, ტყეები მადნიანის ადგილებით, მდინარეები და ტბები თევზეულობითა და სხვა.“ ამასთან, ავტორის აზრით, მიწების და საწარმოო იარაღების გლეხებზე გადაცემა უნდა მოხდეს არა თავიანთი პირადი სამფლობელოდ, არამედ საზოგადო სასარგებლოდ. საქმე ასე თუ ისე საინტერესოა, რადგან მოარგმნელს ყველაფერი შეუსრულებია, რაც კანონით ყოფილა მოთხოვნილი და მაინც პასუხის გებაში მიუციათ, და ვნახოთ რითი გათავდება.

—22 ნოემბერს ქუთ. ოლქის სასამართლოში გაირჩა საქმე სოფ. სეფიეთის (სენაკის მაზრა) გლეხების ტარიელი და ქვიტი ხაბეიშვილებისა, რომელთაც ის ბრალი ედებოდათ, რომ შარშან 22 მარტს ისინი მიუხტნენ მემამულე ივანე თოფურიძეს თავის მამულზე, გალახეს ძლიერ, წაართვეს თოფიდა ღელეში გადუგდეს. სასამართლოში გამოირკვა, რომ ხსენებული ხაბეიშვილი თოფურიძის დროებით ვალდებული გლეხები ყოფილან; მასთან ვამოირკვა, როცა ეს გლეხები [illegible]სულან პირველად, თოფურიძისთვის განუ[illegible]ადებ[illegible]ი: რომ ეხლა მთელი მიწა საზოგადოა, ახალმა კანონ-

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲢᲧᲔᲨᲘ.

(ესკიზი)

გაზაფხულის დილა იყო. ბრწყინვალე მზის სხივებს მედგრათ გაეპოთ ცის კამარა და მძინარე ბუნება ბრძოლის ველზედ გამოეწვიათ: ყველა მხნეთ, ვაჟ-კაცურათ იცქირებოდა ყველას სიმშვიდის, ძალ ღონის მოპოვება ემჩნეოდა.. ყველა ფიქრების ნისლში გახვეულიყო და სადღაც გაჩქარებით მიეშუროდა...

დილის ცრემლებში პირ დაბანილმა ნორჩმა სიცოცხლემ მეც გამამხნევე... ზანტი, ზარმაცი ჩემი ბუნება მთლად შესცვალა გადაკეთა... ჯერ სინათლე კიდევ არ იყო.. იგი ბნელ წუდიადს ისიც იყო ემშვიდებოდა, რომ მე უკვე ჩაცმულ-დახურული გზას ვადექი და ტყისკენ მივეჩქაროდი.

მიყვარს ტყე; განსაკუთრებით ამ დროს.. ახალ გაზაფხულის პირას, როდესაც იგი კოპწია პატარძალივით მორთულ-მოკაზმულია. როცა მის სიმშვენიერეს ამკობს და ადიდებს მილივე უმანკო გულ წრფელი სეფე მაყრები... სტვენა კრიალით, ჭიკჭიკ-გალობით დაჰხარიან თავს და ნაზის აღერსით უკოცნიან თავისუფლებით სავსე მოციმციმე პირის სახეს..

დიახ, მიყვარს ტყე ამადროს, რადგან მთლად თავისუფლების ასპარეზს წარმოადგენს... სადაც ადამიანი მარტო ხარ, სრულებით თავისუფლად სუნთქავ, აზროვნებ და მოქმედებ, სადაც შენს მოქმედებას შენივე მსგავსი შურით სავსე არსება ვერ ადევნებს თვალ-ყურს... ვერ უკვეცს შენს ოცნებას თავისუფლად გაშლილ ფრთებს.. სადაც დროებით დაშორებული ხარ ცხოვრების სისაძაგლეს და სიამოვნებ მარტო ფრინველთა ლაღი და თავისუფალი ჭიკჭიკით...

ნმა ჩვენ მოგვანიჭა და ძველ მთავრობას ჩვენ ალარ ვემორჩილებითო. გლეხებს იცავდა ვექილი ველახაროვი სასამართლომ ორივე გლეხი დამნაშავედ იცნო: ტარიელს ღირსება ჩამოართვა დაპრვა თვე ციხე მიუსაჯა, მასთან დადგენილ იქმნა იშუამდგომლონ ხელმწიფის წინაშე, რომ მას რვა თვე ერთი თვემდის შეუმცირონ, ხოლო ქვიტის ერთი თვე მესცეს ციხე.

თურმე, ნუ იტყვით, დროებით ვალდებული გლეხის დანაშაულობა მისი ბატონის წინაშე სასტიკათ ისჯება კანონით, როგორც ეს სასამართლოში გამოირკვა. ფოფურიძეს სასამართლომ წინადადება მისცა შეპირებოდა მოხუცებულ ქვიტის და სასჯელი ეპატიებინა, მაგრამ თოფურიძემ უარი განაცხადა.

მოენე.

ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲣᲠᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ.

გურია.

გურიაში საზოგადოთ დიდი ცვლილება მოხდა. წინეთ აქაური ხალხი უფრო დაინტერესებული იყო ყაჩაღობაში და დაცემაში დღეარ გავიდოდა ისე, რომ სადმე არ დასცემოდათ ყაჩაღები გურიის რომელიმე სოფელში ან ოჯახში, ან მგზავრს; დღეს კი ასეთი ამბები თითქმის შემცირდა; დღეს ხალხი დააფიქრა ახალმა მოძრაობამ, ჩაუნდა თავის სინდისში და ყაჩაღობის მაგიერ მოჰკიდა ხელი რაიმე საქმეს. მართალია ყაჩაღობა გამოწვეულია გაჭირვებისაგან, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში იგი ხდება ჩვეულებით; გურია გაესებული იყო ყაჩაღებით, ასე რომ ყაჩაღები დადიოდნენ ბრბოთ. იყო მაგალითი, რომ ერთად ერთ სახლში იპოვნეს დაბანაკებულნი ათი-თორმეტი ყაჩაღი. წინეთ ყაჩაღობას გურიაში თვლიდნენ რაღაც რაინდობათ და ვაჟკაცობათ თუ კაცი ფირალი იყო (ასე ეძახიან ყაჩაღს გურიაში) იმას ეძახდნენ „კაი ბიჭს“. მაგალითად სისონა დარჩია, განთქმული ყაჩაღი გურიაში ითვლებოდა კარგ ბიჭად. რასაც მოწმობს ლექსი, რომელიც სისონაზე არის გამოთქმული: „კაი ბიჭი სისონაი ნაქებია ბიჭობაში, შეეიდა და ძმა ატირა არ შეშინდა იმდენ ჯარში“; აგრეთვე დათუნაშვილი, მიქე-

---

სწორედ ეს მშვენიერი დილა იყო, რომ ტყის შუაგულში ვიყავი და თავისუფლად წმინდა ჰაერით ვსუნთქავდი... უცებ ხის ერთ ტოტზედ ცქვიტად, სიცოცხლით სავსე ჩიტი შემოჯდა... ნისკარტი მარდად მწვანე ფოთლებში მისმა-მოსმით გაილამაზა... მერმე ფრთები შეიშმუშნა-შეათამაშა და წყნარად დილის ნიავს დაესალმა-დაეამბორა... მეც ვუცქერდი და მთლად სმენად გარდავიქეცი, რადგან ველოდი მის ტკბილ ჭიკჭიკს და ლამაზ სტვენას.. არც მოვტყუვდი... ნიავის სისინს ბანი მისცა მისმა ჭიკჭიკმა.. ფრინველთა ტკბილი და ნაზი სტვენა მსმენელს ხიბლავდა.... ავიწყებდა წუთიერ სოფელს—ცაში აფრენდა...—სუ! უცებ ტყე შეინძრა—გაიხმაურა!.. მეორე ტოტზედ ვეებერთელა ქორი შემოჯდა. ქორის გაჩენამ ტყის მოჭიკჭიკე მაყარი-საუკუნოდ ამ არემარეს გამოასალმა.

მოგიყვანა, ვინ მოგათრია?! ვეკითხებოდი

ᲐᲜᲔᲥᲓᲝᲢᲘ

გულ გამწყარალ ამ ვეებერთელა ძალს,.. რომ ქვევიდგან ქალის უცხაური კისკისი მომესმა.

—სუ! დავუგდე ყური...

—ხა! ხა! ხა! კიდევ მომესმა.

—ვინა ხარ, მარტო, რომ ხითხითებ ამ კლდეწდურ-ხრამებში?!

შევსძახე და კლდის ნაპირიდგან გადავიხედე..

—შენ რა გინდა, ვინც უნდა ვიყო?! შემოგძახა ქვევიდგან ქალმა...

—აქ რა გინდა? გიჟი ხარ, თუ ჭკუათა მყოფი? მითხარ: ვინ ხარ?.. გავუმეორე..

მაგრამ მეორეთ-პასუხის ნაცვლად კისკისი მოართო...

—ხა! ხა! ხა! გრძნობიერათ გადიკისკისა.. შემდეგ შედგა და გაშტერებით დაჩიწყო ცქერა...

—ძალიან გინდათ შეიტყოთ-ვინ ვარ?!.. არა... არ გეტყვით... რასთვის უნდა გითხრათ?! თქვენი არც მეშინია და არც გეტყვით!.. რა

ლაშვილი, მეხუზლა და ძნელაძე ითვლებოდნენ კარგ ბიჭებად. როგორც ვხედავთ გურიაში ყაჩაღობა ყოფილა ჩვეულებად გადაქცეული. დღეს კი გურიაში მოისპო სისონას დრო, დღეს გურიაში ყაჩაღობის ნაცვლათ დადგა დრო დაფიქრებისა და შეგნებისა. სინათლემ გურიაში შეაშუქა,, გამოაღვიძა და გააკვირცხლა ისედაც კვირცხლი გურული. როგორც წინეთ იყვნენ ტყეში გავარდნილი ყაჩღები და იქიდან აწიოკებდნენ მშრომელ ხალხს, დღეს ისე აღარ არის. გურულები, თუ ვისმეს შენიშნეს ასეთი საქციელი, თვითონ იჭერენ და სჯიან მათ; ასე რომ ყაჩაღობა წინანდელ ამ სიტყვის მნიშვნელობით გურიაში აღარ არის, მაოლოდ აქა იქ მაინც ჩნდებიან ახალგაზდები და ეცემიან სალხს გასაცარცვავად, რაც შეიძლება ჩავთვალოთ ქურდობათ და ლაჩრობად, ამისანა პირებს ხალხი სასტიკათ სდევნის. სკოლების საქმე გურიაში ვერ არის კარგად დაწყობილი. მასწავლებელნი და მოსწავლენი ორივენი იტანჯებიან, მასწავლებელნი იტანჯებიან, მით რომ ვერ ღებულობენ საკმარის ჯამიგირს, ვერ ღებულობენ შრომის ფასს; მოსწავლენი იტანჯებიან მით, რომ მასწავლებელნი, რომელნიც არ არიან დაკმაყოფილებულნი შრომის ფასით ნაკლებად და სუსტათ ასწავლიან მოსწავლეებს. საჭიროა მასწავლებელთ მიეცეს ჯამაგირი, რომელმაც უნდა გამოუკვებოს მათ ცოლი და შვილები. აბრეშუმის მოსავალი გურიაში იყო რიგიანი, მაგრამ ხალხი ღაატყუილეს პარკის მყიდველება, რომლებიც ნაკლებ ფასს აღლებენ საწყალ ხალხს. ეს არის სინდისი თქვენი ბატონო ჩარჩნო და გამყვლეფნო! ეს არის ხალხის დახმარება და შველა! არა, უკეთ რომ ვთქვათ თქვენ საკუთარ ჯიბეს უფრო ეხმარებით და ეთაყვანებით, ვინემ საწყალ მშრომელ ხალხს. უკეთესია რომ თქვენ თავს უწოდოთ ქურდი და მატყუარა, ვინემ მომხმარე: ამ სახელით თქვენ სარგებლობთ საწყალი ხალხის მოსატყუილებლად; აწი შორს თქვენ ჩარჩნო და მატყუარნებო? საჭირო არ არის აქ დავასახელო ეს პირები, ქურდი თვითონ მიხვდება თავისს ქურდობას—„ქურდს ქუდი ეწვის“. რაც შეეხება გურულების ერთმანეთში დამოკიდებულებას, ისინი დღეს არიან ერთმანეთში

უნდა გითხრათ? თქვენ რა გინდათ მე აქ ვიყო?! „ზეკუცია“ ხომ არ ხართ?. ჩემი გაუპატიურება ხომ არ გინდათ?! აბ! მითხარით! მითხარიო. ბალე!? მაშ რა გინდათ ჩემგან?. რას მეკითხებით?!.. მითხრა აღელვებულის ხმით და კიდევ უფრო გაშტერებით დამიწყო ყურება.

—ვინ ხარ ქალო? ეს მაინც მითხარით! ვკითხე კიდევ.

—არა, არ გეტყვი! გადიკისკისა ძალზედ: ზურგი მომაქცია და ხევში მისცა თავი. „საბრალო, გიჟი უნდა იყოს“ მეთქი, ვიფიქრე ჩემთვის და ტყის პირას გზაწვრილს გავყევი..

ფიქრები ლოდივით მომაწვენ და აქამომდე გულის ნასიამოვნებ გრძნობებს, ახლა უცებ მწუხარების ნაცარ ტუტა გადაეყარა... მოვწყდი... ენა ჩამივარდა.. და მთლად დავდუმდი... „ჯერ კიდევ სად ვართ! რამდენი ამ გვარ სამწუხარო სურათებით აყვავდება ჩვენი ცხოვრება!.. რამდენ ამ გვარ მსხვერპლს შეიწირავს დღევანდელი მოძრაობა,“ მეთქი გავივლ ეგულში და შხამით სავსე ფიქრების გასაქარვებლად გზიდგან ისევ ტყეში გადავუხვიე...

პატარა ხევში, კლდის ნაპრალებიდგან, თეთრი ლენტის მსგავსად, ანკარა წყალის ნაკადული ზევიდგან ქვეშ ასკდებოდა, ვერცხლის გრილი შხეფები გარშემო არე-მარეს აიზამით რწყავდენ და მთელ ხეობაში გამეფებულ მყუდროებას თავის ცელქურ ხმაურობით არღვევდენ.. წყლის პირას ვიღაც იდგა და პირს იბანდა...

—გამარჯობა შენი! გადავძახე ზევიდგან.

—გაგიმარჯოს, ბატონო. მიპასუხა და მომაჩერდა..

რას მომაჩერდი, ვერ მიცან?

—ვერა, ბატონო.. მითხარით ვინ ბრძანდებით?..

—შენ ეს მითხარ: შენ ვინ ხარ? აქ საიდგან მოსულხარ?...

თანხმობით, მეგობრულად და სიყვარულით, მხოლოდ მყუდროებას არღვევენ ჯაშუშნი და უსინდისონი; ერთი ასეთი საზიზღარ პირთაგანი არის დიმიტრი მგელაძე, რომლის მეოხებით ბევრი კაცი იქმნა დაჭერილი; ბევრი კიდევ არის მგელაძის მგზავსნი, ბევრი კიდევ სჭამს თავის ძმას, მაგრამ იმედია ისინი გასწორდებიან და დადგებიან სიმართლის და სიყვარულის გზას.

საჩინო (იმერეთი) **წითელიშვილის რაზმი.** აქამდის გაზეთები იყვნენ ალაპარაკებულნი მერკვილაძის რაზმის მოქმედებით და მამაცობით. გაზეთები მერკვილაძეს ადიდებდნენ და ამბობდნენ, რომ იმასთან გამკლავება სწორეთ დიდ სიძნელეს წარმოადგენსო. სწორეთ ასეთი რაზმი ყოფილა საჩინოს არემარეზე რომლის მეთაურად სთვლიან წითელიშვილს. წითელიშვილი, როგორც ამბობენ, ყოფილა—დიდი გამჭრიახი, გამოცდილი და ცქვიტი ადამიანი, მასთან ყოფილა ფრთხილი მოძრაობის დროს, ესე იგი ის არავის არ დაენდობაო. ამას წინეთ დარაჯებს და წითელიშვილის რაზმს გომში (საჩინოს ახლოს არის) მოსვლიათ ერთმანეთში შეტაკება, რომლის დროს წითელიშვილმა უკან გააბრუნა დარაჯები და ერთი მათგანი კიდევაც დასჭრა. ამბობენ, წითელიშვილს მოერიდა სოფლის აწიოკების თორემ ყველა დარაჯებს ამოწყვეტდაო.

ჭიათურა. ათ ნოემბერს დარკვეთის სადგურიდან მოდიოდა მატარებელი სალიეთში. მატარებელს გზაზე თავს დაეცნენ შეიარაღებულნი პირნი, რომლებმაც ასტეხეს სროლა. მატარებელს მცველებად მიჰყობოდა სალდათები, რომლებმაც სროლით უპასუხეს დამცემლებს. ასტყდა ორივე მხრიდან სროლა. დამცემლებმა დასძლიეს მოწინააღმდეგენი, მატარებელი გააჩერეს; დასჭრეს სროლის დროს სალდათები, ერთი მატარებელში მჯდომი უბრალო მგზავრი, მატარებლის გამგის თანაშემწე. დაიმრრჩილეს რა მთელად მატარებელი, შეიარაღებულებმა თამამად გამოიტანეს მატარებლიდან ოცი ათასი მანეთი და გაიქცნენ. იმ ადგილას, სადაც ეს ამბავი მოხვდა, გაგზავნეს ჯარი დამცემლების დასაჭერად, მაგრამ, საუბედუროთ, მძარცველები ეხლა ცხრა მთას

—მე აქაური გახლავართ. ეს ტყე ჩვენს სოფელს ეკუთვნის.. მოვედი სოფლიდგან ტყეში სამუშაოდ...

—გზაში წინ არავინ შემოგხვედრია?

—არა, ბატონო!

—აქ ტყეში ქალისათვის არ მოგიკრავს თვალი?

—არა, ბატონო... მითხრა და ჩვენშორის შეწყდა ბაასი.. ცოტა ხანს სიჩუმე გამეფდა... ორივე ჩვენ ჩვენთვის ვფიქრობდით...

„მაშ, რანაირად გავიგო იმ ქალის ვინაობა?“ გავიელე გულში და კიდევ დავფიქრდი...

—ვინ ქალი, ბატონო?! უცებ მომესმა კითხვა.

—შინ ქალი და აი გეტყვი: ამ ხევში სულ ნახევარი საათი არ იქნება ერთი უცნაური ქალი ვნახე.. ახალგაზდა, ნაზი და უმანკო სიცოცხლით სავსე... საბრალო არეულად ლაპარაკობდა... ეტყობოდა დიდი მწუხარება და ტანჯვები უნდა გამოეცადა... რაც ვკითხე არაფერზედაც არ მიპასუხა... თავისთვის მსჯელობდა, ლაპარაკობდა და კისკისობდა.. ჩემ კითხვაზედ კი არეულ პასუხს მაძლევდა... მინდოდა შემეტყო მისი ვინაობა... მიზეზი ამ მდგომარეობისა, მაგრამ ვერ მოვახერხე... პასუხის მაგიერ ზურგი შემომაქცია და სადღაც ამ ტყეში მიიმალა..

—ჰოოო! ვიცი, ვიცი ვ.ზედაც ბრძანებთ ბატონო. ის ქალი ჩვენი მეზობელი გახლავთ.. განაგრძო მუშამ. მისი ვინაობა მართალია საჭიროა ყველამ იცოდეს.. მოგახსენებთ: დამიგდეთ ყური.. იმ წყეულ და კრულ დროს, როდესაც დასაკლავ საქონელივით განწირულ ჩვენ სოფელს მტერი ანადგურებდა, როდესაც ცეცხლი, თოფი და ტყვია გვაოხრებდა და გვანადგურებდა ვისლა ეცალა მეზობლისთვის ქომაგობა და პატრონობა რომ გაეწია?!. ყველა თავ-თავის ქობებს უდგა და ცეცხლისაგან იფარავდა.. ცოლ-შვილი, ზოგს ტყეში და ზოგსაც მინდორ-ველებში გვეყარა.-არც-სას-

იქით იქნებიან დაბანაკებული და მცხოვრებლები კი უბრალოთ შეწუხდებიან.

ᲥᲣᲠᲡᲔᲑᲘ (იმერეთი) ამ სოფელში არის ქვის მადანი, საიდანაც იასე რაქველს გააქვს, ქვა ქალაქ თბილისში- ამ ქვის სატეხში მუშაობენ რიცხვით ასზე მეტი მუშები; მუშების უფროსად არის ბატონი ბერეკაშვილი. ეხლა უნდა წარმოიდგინოთ თუ როგორია შეგნება ამ მუშებში. ბევრხელ სთხოვა იასე რაქველმა აქაურ მუშებს, რომ იმათ თავიანთ ჯამაგირიდან გადაედოთ რამოდენიმე პროცენტი ბიბლიოთეკის ასაგებათ და გაზეთ-ჟურნალების გამოსაწერათ, მაგრამ მაგიერი პასუხი მიიღო ასეთი: „რად გვინდა ჩვენ კითხვა და გაზეთი, ვმუშაობთ და პურსა ვჭამთ, ჩვენ მამა პაპას არ უსწავლია ღა ჩვე რად გვინდა სწავლაო“. ეი რანაირი პასუხი მისცეს აქაურმა მუშებმა იმ პირს, რომელი იმათ საკეთილდღეოთ ფიქრობს; აქაური მუშები არიან მეტად მოუმზადებელნი დნ შეუგნებელნი, ისინი არიან გახვეულნი ბნელში, ცხოვრობენ ქვეყანაზე და ქვეყანას ვერა ხედავენ. საჭიროა, ძმაო მუშებო დაფიქრდეთ, თვალები გაახილოთ და გაარჩიოთ ბნელი და ნათელი, იკითხოთ წიგნი და გაზეთი რათა თქვენ შეიქნეთ სრულნი და შეგნებილნი.

ᲛᲝᲬᲐᲛᲔᲗᲐ (იმერეთი). მოწამეთაში არის ქვიანი მთა, აქ ქვასა სტეხავენ მრავალნი მუშები ბერეკაშვილის თაოსნობით (ეს ბერეკაშვილი კი სხვა არის და არა ის, რომეთიც კურსების მუშების უფროსია). ამას წინეთ აქაურ მუშების წრიდან ჩამოვიდნენ ქუთაისში რამოდენიმე მუშები რაღაცა საქმეებისათვის, მე შეეხვდი იმათ იმ დროს, როცა ისინი ელაპარაკებოდნენ ერთ ქუთათურს თავიანთ გაჭირებულ მდგომარეობაზე: სხვათა შორის მე მივაქციე ყურადღება ერთ მუშის ლაპარაკს, აი თუ რას ამბობდა ეს მუშა: „სწორეთ გაგვიჭირდა ცხოვრება, ვმუშაობთ დღე და ღამე შესაფერ ხელფასს არ ვღებულობთ, ბერეკაშვილი რომელიც ბატონივით დადის, არ მუშაობს, მზეში არ იწვება, ცხოვრობს ჩვენზე უკეთესათ, ჩვენზე უკეთესი ტანისამოსი აცვია, ჩვენზე უკეთეს საქმელს სჭამს, სწორეთ ასე არა გვინდა ჩვენ ცხოვრება; მე არ მესმის რა საჭირო არის ბერეკაშვილი, თუ ქვის მტეხელი

“ელი, არც საქმელი მათთვის არ აყო. ცეცხლი, ტყვია, მათრახი, სატუსაღო ყველა ჩვენ ასაოხრებლათ ამხედრებულიყო.. ყველაზედ უფრო ქალებზედ იმოქმედა ამ ამბებმა... ბევრი იმათგანი იმსხვერპლა, წუთი-სოფელს გამოასალმა... ეგ ქალიც ერთი იმათგანი გახლავსთ... მამა მაგისი საშვალო შეძლების გლეხი იყო.. სოფლის განაპირას, გზის პირზედ იდგა.. უფროსი ვაჟი სამსახურში ჰყავდა.. სამხედრო ბეგარას იხდიდა.. უნცროსი კი ჯერ ქალაქში იყო... მერე შინ მოვიდა... საქმეზედ არაფერზედ იდგა.. მაგრამ სარგებლობა კი ბევრი მოგვიტანა... ჩვენ სოფელში „ერთოპაზედ“ ჯერ ლაპარაკიც არ იყო, რომ ის ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა... მთელი სოფელი გამოგვაღვიძა.. თვალები აგვიხილა და საბრძოლველად გამოგვიწვია... ამ დროს იგი გადავარდნილი იყო... პირველად მის სახლს გაუჩნდა ცეცხლი.. ცეცხლის გაჩენამ მთელი სოფელი ფეხზედ დააყენა.. ყველა საშველად გაექანა, მაგრამ თოფის ხროტამ, გაუგებარმა კიჟინამ და ხმაურობამ ყველას თავზარი დასცა.. გააშტერა და საშველად აღზრული სურვილები დაუხშო.... მისვლა და მოხმარება ვერავინმაც ვერ გაბედა... ბედკრული გლეხის ოჯახი უცებ ნაცარ-ტუტად იქცა...

საბრალო მაკრინე—დედა ამ ქალისა ლოგინად იწვა... ცეცხლის ალმა თავისი პატარა შვილიანად შთანთქა-გადაყლაპა... მამა ტყეში გაიქცა და მტარვალის ტყვიამ გზაში გაგმირა. ნამუს ახდილი 16—17 წლის ქალი ცოცხალ მკვდარი გზაში დააგდეს... იზრიალა სოფელმა.. ცოდვა დატრიალდა გლეხობაში... ჩამოგვიბნელდა მზე.. ჩავარდით ჯოჯოხეთურ ტანჯვაში... ვისა ეცალა მაგ ბედკრულისათვის?! ვინ მოიფიქრებდა მისულიყო და ნუგეში ეთქვა მისთვის?! იჯავრა დღეს... იჯავრა ხვალ...

მუშაა კიდევ საჭირო, მაშინ მუშა უნდა ვიშოვოთ და არა უმუშიერი, ბერეკაშვილი რა საჭირო არის.“ რომ გაათავა მუშამ ლაპარაკი მე ვჰკითხე მას: „ბერეკაშვილი რომ არ გყავდეს თქვენ ზედამხედველად, მაშინ იქნება არაკი იმუშაოთ.“

„სცდები ამხანაგო“—მომიგო მუშამ—„მე მესმის გუშაობა, მე მესმის რომ საქმელის შოვნა შეიძლება მხოლოდ მუშაობით და ამიტომ ვმუშაობ რომ ჩემი ოფილთ ვჭამო პური, თუ არ ვიმუშავე, მაშინ ვინ უნდა მომცეს საქმელი ჩემო ძმაო, ამაზედ რაღა უფროსი მინდა, სრულიად არაა საჭირო ზედამხედველი მუშისათვის, ჩვენ ყველა მუშებმა გადავწყვიტეთ, რომ ბერეკაშვილი დავიხოვოთ და გვქონდეს ამხანაგობა მხოლოდ მუშებს, როგერც სჩანს ამ მუშის სიტყვიდან, პსიხოლოგია მუშისა ამნაირი ყოფილა, რომ მას სურს იყოს დამოუკიდებლად, მას სურს ჰქონდეს თავისუფალი მუშათა კავშირი უუფროსოდ, მას სურს თავის საქმეს თვითონ გიუძღვეს.

ეს—ჯანი.

სასოწარკვეთილი მოწყდა ერთხელვე სოფელს.. გაშორდა ტოლს და ამხანაგს და წავიდა ტყეთ... მას აქეთ, ისე როგორც ჰხედავთ, ასე დაიარება... ღამ-ღამობით იშვიათათ სოფლად ჩამოდის... ხშირად იქვე უთენდება, სადაც დაუღამდება... არაფრის არ ეშინია, გარდა ადამიანისა... ადამიანს დიდხანს არ ელაპარაკება... ეშინია მისი, თუმც პირველად იმას ეუბნება ყველას, რომ მე შენი არ მეშინია.. თუ არ მიაძალებ არც საქმელს გთხოვს და არც სასმელს... რით საზრდოებს მაგრ სოფელს უკვირს... დადის ასე,.. რომ ჰკითხოთ-რასთვის დადიხარ მარტო ტყეში, რას დაეძებ, რა დაგეკარგა, გიპასუხებს:—დედა დავკარგე... მამა მომიკლეს... ძმებს, დედ-მამას დავეძებ.... დიახ იმათ დავეძებ''!.. გეტყვის და მაშინვე მოგშორდება...

ტყის კაცი.

ჭაკარა ფელეტონი.

(მოკლე საუბარი)

წარსულის შოგონება ალარ ლირს. ჩვენ უნდა ვეძიოთ მომავალი, მაგრამ ჩემი საცოდავი გული არ ითმენს ისე, არ ჩერდება და, რაღაც გიჟივით ამომყვირებს ხოლმე „გაიხსენე წარსული ზაფხულიო.“ ასე და ამნაირად ჩემი გული საშველს არ მაძლევს და მეც საგონებელს ჩავარდი. დავფიქრდი, ავყევი გულის ხმას და მართლაც მოვიგონე ზაფხული. თურმე საწყალი გული მართალს მელაპარაკებოდა. მართლა რა კარგი იყო წარსული ზაფხული! იმის მშვენიერებას სწორეთ გამოცდალი მწერლის კალამიც ვერ ასწერს; იმის სილამაზეს ხელოვანი მხატვარი ვერ დახატავს; ეხლა იკითხავს მკითხველი: რაში გამოიხატებოდა გასული ზაფხულის მშვენიერება სილამაზე“? გასული ზაფხული იყო მეტად ზომიერი, არც დიდი სიცხე ყოფილა და არც ~~ნამეტანი~~ სიცივე; ისევ ამინდები იყო ამ ზაფხულში, რომ ადამიანს სამოთხე წარმოუდგებოდა; მინდორი, ველი, ტყე და ბაღი შემოსილნი იყვნენ წვანე მცენარეებით, სხვა და სხვა ფრინველების ჭიკჭიკი გაისმოდა ტყეში, მინდორში ბუდობდა მწყერი, ბაღში ვარდს დაჰყეფდა ბამბამად და შეუპოვრად ბულბული; ბულბულს ეჯიბრებოდნენ შაშვი და ჩხართვი ეს სამი ფრინველი იყვნენ დამატკბობელნი მთელი არე მარისა, გამვლელ-გამომვლელნი დიდი სიამოვნებით უგდებდნენ ყურს ამ ფრინველთა გალობას, ტანში ჟრუოლა მოგვიდოდა და ვაშას შესძახებდი სოლმე ბულბულის გალობას რომ გაიგონებდი; ეს ნაზი და მშვენიერი ჩიტუნა ერთი ადგილიდან სხვაგან გადადიოდა და იქაც ატკბობდა მცხოვრებლების სმენას თავისი ტკბილი გალობით. აბა ნუ მოგონებ თუ კაცი ხარ გასულ ზაფხულს; აი რა მოხდა ამ ზაფხულში: იმ ადგი-

ლას, სადაც ბულბული, შაშვი და ჩხართვი უსტვენდენ მაღალი საამო ხმით, გამოიარენ რამოდენიმე პირთ, რომელთა შორის მოდიოდა ერთი გიჟი; სანამ ამ ადგილამდის მივიდოდა სულ ᲰᲧᲘᲠᲝᲓᲐ და შფოთავდა, როცა ამ ადგილს მიუახლოვდა და ფრინველთა გალობა მოესმა შეჩერდა, რაღაც სახარული იგრძნო, გაიცინა და დაᲯდა, ყვირილსაც დაეთხოვა გიჟი და სიცილით ყურს უგდებდა ფრინველთა გალობას: წარმოიდგინეთ, როცა მგალობელნი გაფრინდნენ, ვიჟმა დაიწყო ყვირილი და ბღავილი; აი როგორი იყო გასული ზაᲯხული გიჟსაც კი ამშვიდებდა და აწყნარებდა. მაგრამ გაᲰქრა ზაფხული, მინდორი, ტყე, ბაღი, წყანე მცენარეებ ს ნაცვლად შეიმოსა ტალახით, კარგი ამინდის ნაცვლად დადგა ცუდი დარები, სითბოს ნაცვლად ძალიან აცივდა, სიცივ-ს მიᲰყვა კოხი, ოთვლ-Ჰყაპი, ყინვა; დადგა ისეთი ზამთარი, რომ თითქმის ბედიც კი დაგვაწყევლინა, ვერც შუბამ ვერც ნაბადმა, ვერც ჩექმამ ვერ დაგვიფარეს ასეთ ზამთარის სიცივისაგინ, სალხი კერასთან მიიᲯაᲰვნენ; ზამთარმა ბევრს მიაყინა ცხვირი და ფეხი; სწორეთ შევწუხდით, ცხოვრება გაგვიძნელდა; ალარ გვესმის ბულბულის ტკბილი სტკენა, ბულბულის მაგიერ თავზე დაგვჩხავის ყვავ-ყორანი; იმათმა ყვირილმა ერთობ შეგვაწუხა ხოლმე, ისე წყეულად გადმოგვძახებენ ყვა-ყვაო რომ კაცი ლამის გავვიჟდე! ᲔᲨᲛᲐᲙᲐ დალახვროს მაგის ყვავობა! რა უნდა რომ არ ვიცი!!! ოხ რა კარგია ზაფხული, ნეტა როდის ველირსებით მისს მოსვლას!!...

ჩიბათელი.

ანარქიზმი.

ანარქიზმი არის ისეთი მოძღვრება, რომელიც უარყოფს სახელმწიფოს, ესე იგი ქადაᲦებს პიროვნების სრულ თავისუფლებას, ქადაᲦებს უუფროსობას და არა არევ დარევას და უწესრიგობას როგორც ზოგიერთებს გონიათ. ანარქიზმი არის კომმუნისტური, კოლექტივისტური და ინდივიდუალური.

კომმუნისტური ანარქიზმი ქადაᲦებს შემდეგს: მომავალი საზოგადოება უნდა მოეწყოს ამ ნაირად, რომ სიზოგადო კუთვნილებად უნდა გადაიქცეს საწარმოო იარაღი: მიწა, ფაბრიკა, ქარხანა და ავრეთვე საჭირო საგნები: ხალი, წიგნი, ერთი სიტყვით ყველა-ის, რაც არის საჭირო საგნები; მოკლეთ რომ ᲕᲗქვათ კომმუნისტური ანარქიზმი ქადაᲦებს საზოგადო საკუთრებას ხაყოველთაოდ. კოლლექტივისტური ანარქიზმი ქადაᲦებს საზოგადო საკუთრებას მხოლოდ საწარმოო იარაღზე: მიწაზე, ქარხანაზე და ფაბრიკაზე და კერძო საკუთრებას საჭირო სიგნებზე (**на предметы потребленія**). ინდივიდუალური ანარქიზმი ქადაᲦებს რომ ყველა ნივთი შეიძლება იქმნეს-ორც კერძო საკუთრებად, ისე საზოგადო საკუთრებად.

კომმუნისტურ ანარქიზმის მქადაᲦებელი და მომხრე არის კროპოტკინი;

კოლექტივისტურ ანარქიზმის მქადაᲦებელი და მომხრე არის ბაკუნინი; ინდივიდუალურ ანარქიზმის დამცველია ტუკერი.

რაც შეეხება დანარჩენ ანარქისტების მომღვრებას, როგორც არიან მაგალითად ფრდეინი, პრუდონი, შტირნერი და ტოლსტოი და სხვები ისინი უარყოფენ საკუთრებას ᲡᲣᲡᲐᲗᲣᲗ.

Ego.

მუშების უკმაყოფილებანი.

ამ რამოდენიმე თვის წინათ ქუთაისის ქალაქის გამგეობის მუშებმა და დაბალმა მოსამსახურეებმა წინადადები მიეცით ბუხგალტერს აბზიანიძეს და მწერალს ნიკო ჭყონიას სამსახურისთვის თავი დაენებებიათ, მაგრამ ისე დაკარგეს სინიდისი და ადამიანობა რომ ჩვენ კოლექტიურ მოთხოვნილებას არ ემორჩილებიან და პირიქით მედიატორულ სამართალში გვიწვევენ, ჩვენ სახიფათოთ მიგვაჩნია არსებულ ხანაში ზემოხსენებულ პირებთან მსჯელობა და საზოგადოებას რომ ეპეი არ შეეპაროს ჩვენს გარდაწყვეტილების უსამართლობაში, ვეცდებით გაზეთის სტრიქონებზე ,ამოვაქვეყნოთ მათი ბნელი საქმეები. მოვიყვანთ მხოლოდ რამოდენიმე ფაქტს ჯერ აბზიანიძის არა პატიოსან მოქმედებიდგან: ერთი რომ ჩვენ მუშების და დაბალ მოსამსახურეების ინტერესებს ყოველთვის წინ ეღობებოდა, ჯამაგირს მოუმატებდენ ვინმეს ან რიმე დახმარებას აღმოუჩენდენ ის წინააღმდეგი იყო, რაო და კრედიტი არ არის მაგ ხარჯის დასაფარავათო, ასე გასაჯეთ თვითონ რომ ორასი მანეთი მოიმატა საწყალ მეეზოვეს-რვა მანეთი გოუხადა ჯამაგირი; დიდ წინააღმდეგობას გვიწევდა ჩვენგან წაყენებულ მოთხოვნილების მოპოვების დროს, ამის ფაქტებს რომ მივყვეთ შორს წაგვიყვანს ჩვენი სურვილია მოვიყვანოთ რამოდენიმე ფაქტი რომელიც დაახასიათებს აბზიანიძის საზოგადოების მიმართ მოღვაწეობას. არაფელი იჯარის საქმე არ გაიცემოდა ისე, რომ მას ან პირდაპირ ან თავისიან პირის წაყენებით არ მიეღო მონაწილეობა, თუ სახეირო იყო თვითონ ჩაიგდებდა ხელში, დ თუ ვინმეს დაუთმობდა, კარგა ბლომათ აიღებდა ამისანა საქმეში მიღებულ „ოტსტუპნოის“. მის მოქმედების ჰეშმარიტ დანახვისათვის, ავიღოთ მხოლოდ ერთი მაგალითი. უმთავრესი შ-მოსაველიანი სტატია ხიდები რამოდენიმე წელი ჰქონდა აღებული აბზ. და მის ნათლიმამას სულ 12000 მან.; აბზიანიძეს თავის მხრით მამა ყავდა ხიდების მეთვალყურეთ დიყენებული, მას შემდეგ ხიდები აიღო ბერძენმა 18000 მან. ეხლა ვკითხოთ აბზ. ვის ჯიბეში მიჩხრიალობდა დანარჩენი ექვსი ათასი მანეთი ქალაქის შემოსაველისა? ასე გაიძვერულათ ცარცავს სხვა შემოსაველიან სტატიებსაც; არა ნაკლები მისგან ჩადენილი საზიზღრობა გამოჩხრიკა ყოფილმა გამგეობის მსახურმა აწ განსვენებულმა შველიძემ, მსურველს შეუძლია გარდაათვალიეროს ორი საქმე ამის შესახებ შემდგარი. ამას გარდა აბზიანიძეს აქვს ხილეულობის წყლის ქარხანა ყოველი მიკიტანი, მედუქნე და წვრილი მოვაჭრე, ვალდებულია მთელი წლის განმაველობაში იხარჯოს მისგან წყალი, უკეთუ ეს არ შეასრულა აბზიანიძე თავის „კრუჩოკებით“ არ აღირსებს პატენტის და ნების აღებას. გარდა ამისა, ბ-ნი აბზიანიძე მოსამსახურეებს სრულიად უდანაშაულოდ ებეზღებდა ქალაქის თავთან და გამგეობის წევრებთან; ადვილად შესაძლებელია, რომ ასეთი კაცი უფრო შორსაც წავიდოდ და მთავრობასთანაც არ დააკლებდა ხელს ამ გვარს დაბეზღებას. სხვა მისგან ჩადენილ კლიავოზნიკობას და სხვა საზიზღრობას რომ მოვყვეთ შორს წაგვიყვანს ჩვენ ვგონია ამ რამოდენიმე ფაქტიდგანაც დაინახავს საზოგადოება თუ რამდენათ საზარალო არის მისთვინ აბზიანიძის გამგეობაში დარჩენა ად რამდენად სამართლიანია ჩვენი გარდაწყვეტილება. ერთი ვიკითხოთ ეხლა ნუ თუ საყვედურის ღირსი არ არიან ის მოქალაქენი რომლებმაც აბზიანიძე ხმოსნათ ამოირჩიეს და იე პირნი რომლებიც პირად მეგობრობას ანაცვალებენ მუშების ინტერესს და პარტიის წინაშე იცავენ მის პიროვნებას.

რაც შეეხება უ-ლ ჭყონიას, ის როგორც ახალგაზრდა კაცი, მის მაგივრად რომ წინ გაგვძღოლოდა მუშებს და შამოეტანა ჩვენში თვითცნობიერება, პირიქით წინ გვეღობებოდა და ყოველივე ჩვენს მოქმედებას ზიზღით უცქერდა, მხოლოდ იმისანა სინიდისით დაბალ არსებას შეეძლო ჩაედინა ისეთი საზიზღრობა,

როგორიც ჩაიდინა ჭყონიამ. რეაქციის დასაწყისში ერთი მოსამსახურეთაგანი იძულებული იყო მიეშურებია თავის ოჯახისათვის გურიაში სადაც იმ ბანში დიდი უბედურება ტრიალებდა; ჭყონიამ დახმარების და თანაგრძნობის მაგივრად მოუნდომა მას ადგილის წართმევა, ის ცდილობდა მის ადგილზე თავის ძმა ჩაეყენებია, ამ დროს მოსამსახურე დაბრუნდა და დაიკავა თავის ადგილი; მას შემდეგ ჭყონიამ სხვა ხრიკს მიმართა: მას სიძე ყავდა უბნის ზედამხედველი კაცი მიუგზავნა და ათხოვია ამხანაგისთვის „გადაიმალე სადმე თორემ შენი დაჭერა მაქვს ნაბრძანებიო“ დაშინებული ამხანაგი გაიქცა და ჭყონიამ კელავ განაგრძო მისი ადგილის მოპოვება, მაგრამ რამოდენიმე პირმა შეეამჩნიეთ მისი გაიძვერობა, ეავიგეთ რომ მთავრობა ამხანაგს არ ეძებდა, დავაბრუნეთ და ჩავაყენეთ თავის ადგილზე. ამაზე უარესი საზიზღრობა ჩაიდინა ჭყონიამ იმ დროს როცა ჩვენ მოთხოვნილება წარვადგინეთ გამგეობაში და მის მოპოვებისთვის ვიბრძოდით; მან ჩვენზე წინ მოიმატა ჯამაგირივ ჩვენთვინ აღარ ცხელოდა და ყოველივე წინააღმდეგობას გვიწევდა. ასე გასაჯეთ ველარ დაფარა თავის მუშებისადმი ზიზღი და ერთხელ შეგვყვირა გამგეობის დარბაზში შეკრებილებს „გადით, ვაეთრიეთ გარეთო“ და როცა ჩვენ ამ თავხედობისთვინ მას მოვსთხოვეთ პასუხი, მან ბოდიშის მაგივრათ საჯაროთ მოუყვა იმ დღეს გამგეობის დარბაზში მყოფ უბნის ზედამხედველს, რომ „მუშებს რამოდენიმე პირი უწევს წინამძღოლობასო, აბუნტებს და აღელვებს, თორემ აქამდისაც ვერ ბედავდენ ეგეთ თავხედობასო“ სხვა ფაქტებს რომ არ ჩამოვყვეთ გვგონი ესეც საკმაოა ჭყონიას ჯაშუშობის დასამტკიცებლად.

ეხლა დასასრულ ვადგივართ რა მტკიცეთ ჩვენს გარდაწყვეტილებას კვლავ ვაძლევთ წინადადებას ზემოხსენებულ პირებს დაუყონებლივ დასტოვონ გამგეობა წინააღმდეგ შემთხვევაში მივმართავთ ბოიკოტს.

მუშების მონდობილებით „ᲝᲠᲘ ᲛᲣᲨᲐ“

ᲒᲝᲒᲘᲐ ᲛᲣᲨᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ.

მშია და მშია საწყალ გოგია მუშას; მცივა და მცივა, ავადმყოფობას ვგრძნობ, მოხუცებულებამ ძალიან მაგარი ნიშანი დააჩინა ჩემს აგებულებას, წვერში და თმაში კარგი ჭაღარა გამომერია; თუ იკითხავთ რამდენი წლისა ვარ ჩემო შვილებო ვიქნები, სწორი რომ ვთქვა, სამოცი წლისა ან ცოტათი ნაკლები. მე დედ-მამა ადრე მომიკვდნენ დავრჩი ობოლი და უპატრონო, არავინ ჩემი ყურის-მგდებელი არ იყო, არავინ არ მიწევდა მფარველობის ხელს, როცა მომშივდებოდა, მაშინ გულამოსკვნით დავიწყებდი ტირილს და მოთქმას, სხვები ლხინობდნენ მე კი ვტიროდი, სხვები ცხენით დაჯირითობდნენ მე კი ტალახში ვეთრეოდი ლუკმა პურისთვის, დიახ ლუკმა პურისთვის, ლუკმა პურისთვის დავიწყე მუშაობა და მაცადინობა და აი შვილებო ხომ ხედავთ ღე დღეს ვარ სამოცი წლის მუშა; ცამეტი წლიდან ოფლსა ვღვრი, ქედი მოხრალი მაქვს, თვალებში სიცხემ და ოფლმა სინათლე დამიკარგა, მუხლებმა მისუსტეს; წარმოიდგინეთ აბა რა ძნელია ჩემი ხნის ადამიანისთვის დიდი შაფების, კამოდების, სტოლების და სხვა მძიმე ტვირთის გადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე. დიახ ძნელია ასეთი მუშაობა სამოცი წლის ადამიანისთვის; აი ამოტენა მიშრომია მთელი საზოგადოებისათვის, მთელ ჩემ ცხოვრებაში ქედი მოხრილი მქონდა და მაქვს შრომის წინაშე, და მაინც ვერ გამომიცვლია შარვ-ლი და პერანგი, მაინც ვერ მიშოვნია საწოლი და საგები, მაინც მტირალი ვარ; ის ვინც არ შრომობს და არ იცის რა არის შრომა, ოფლის ღვრა, არის ჩაცმული, დახურული, ის სვამს კახურ და ოჯალეშის ღვინოს, იმას აქვს კარგი საწოლი და საგები,; შვილებო, განა ეს არის სამართალი! განა შრომისთვის კაცი უნდა იტანჯებოდეს, განა შრომისთვის კაცი უპმელი უნდა რჩებოდეს, არა და ჯრა ეს სრული უსამართლობაა, ეს არის უთანასწორობა, მართალია მე ვმუშაობ, მაგრამ სხვები ასები და

მილიონები არ მუშაობენ, შემოუდგამთ ხელები წელზე, თავი ციალინდრაში გაუხვევიათ, ტანი ატლასით შეუმოსავთ ამ ვაჟბატონებს და ისე მედიდურად ჩამომიელიან ხოლმე საწყალ გოგია ბუშას. ამასანა უთანასწორობა უნდა მოისპოს, უნდა იშრომოს ყოველ ადამიანმა, ყოველი ადამიანი უნდა ირჩენდეს თავს თავის შრომით; შენი შრომია ნაშარი პური ძლიერ ტკბილია შვილო, წარმოიდგინეთ მეყანე კაცი როცა მუშაობს სიმინდში, და შუადღეზედ საჭილს მოუტანენ სახლიდან, ის დაღალული და გამძღარი მუშაობით დიდი მადით ჭამს საჭმელს; ჯერ ყანის მუშა აკოცებს მჭადს და ისე დაიწყებს ჭამას; აი თუ რა ტკბილია შენი შრომით პურის ჭამა. ვინაც ომობაში არათუ აკოცებს მჭადს და პურს არამედ ფეხითაც კი სთელავს მას, მუშამ რომ დაინახოს რომ მჭადზე ფეხი დადგი ის მაშინვე შამოგიყვარებს, რომ რას შვრები შენ საჭმელზე ფეხს ადგამ; შვილებო რა ტკბილია მუშაობა, შეხედეთ როგორ აფასებს მუშა თავის ნაშრომს და შეხედეთ როგორ აფასებს უმუშაოდ-მუქთახორა სხვის ნაშრომს. მე კი მუქთა ხორად არ გადვიქცევი, მე მიყვარს და მიყვარს შრომა, სანამ არ მოკვდები; მე მიყვარს და შევეწევიან ლუტანსაცმელობა, მუქთათ არ ვზიქარ, მაგრამ მაინც მშია და მშია; ბარემ დროთ თავზარი დაეცეს მუქთა ხორებს, ქვეყნის მყვლეფელებს, კაპიტალისტებს, და ისიც გადიქცნენ გრეგორ მუშებად, განა ვისია ეს დიდი სახლეები? ვინ გვაძლევნა მშვენიერი გზები? ვინ გააკეთა მშვენიერი ეტლ? ვინ დაბეადა წიგნები? ვინ აწყო ასოები? ვინ მოიწია პური? ყველაფერი რაც საქონელი არის გააკეთა მუშის ხელმა, და დღეს ამ საქონლებს დაბატონებენ ისინი, ვინც არ მუშაობენ, საწყალი მუშები უკმეელობით იხოცებიან ასობით და ათასობით; წარმოიდგინეთ პარიტის მშიერი მუშები, ინგლისის შაწინწალა მუშები, საწყალი პროლეტარიატს ყველა სიხლსასწრეს, ყველა კისერზე აჯდომა, იგი აკეთებს ატლასს და თვითონ კი იცვამს ძველ ტომარა ნაჭერს, იგი აკეთებს სახლებს თვითონ კი ფაცხებში და დამპალ ოთახებში ცხოვრობს, საწყალი პროლეტარიატის ტირილი და კვნესა მესმის და გულს მიკლავს, კაცი ვვიჟდები ამოტენა ძალმომრეობას როცა ვხედავ; გახსოვდეთ ამხანაგებო: „მუშის განთავისუფლება, თვით მუშების საიმეა“ კიდევ გეტყვით თქვენ კეკლუცნო და პირდაბანილნო; მე ვარ გოგია მუშა, მე გაძლევ თქვენ სასმელს და საჭმელს; ვმუშაობ და მშია, მაგრამ მოველი გაძღომას- ნუ გეწყინებათ გოგია მუშის სიტყვა პროლეტარიატნო მაგრამ გეწყინოსთ ბურჟუა-გაპატალისტებო.

ესჯანი.

ტუნელის მუშები.

წარმოიდგინეთ დიდ მღაალ მთაში გამოჭრილი მიწა, ამ გამოჭრილ მიწას აქვს შესაკვალი კარები დატოვებული, ამ კარებში როცა შეხვალ მერე შიგ მიწაში უნდა იარო დიდხანს; მკითხველი იტყვის რა აირის ამ მიწაში ამოდენა საჭმე, რომ კაცები შიგ შესულნი, სინათლეს მოშორებიან და თავი სასწორზე დაუდვიათ ესე იგი არ იცოდან გადარჩებიან თუ არა პატივცემულო მკითხველო ამ მიწებში არის მადანი შავი ქვის (მარგანეცის), მიწაში იმისათვის შედიან, რომ ეს შავი ქვა გამოზიდონ გარეთ და შემდეგ გაჰყიდონ, გამოთხრილ მიწას, სადაც მუშები შედიან და მუშაობენ ჰქვია ტუნელი, აი ასეთ ტუნელში მუშაობენ ასობით და ათასობით მუშები, რომლებიც ან დამწყვდეულნი მიწაში, ბრიან ხელშიშში, ბეჭნაკლებენ და აბ იცვან როდის ოგრიალებს მიწა და იმათ გამოასალმებს წუთი სოფელსა; აქაური მუშები მოკლებულნი არიან სალ და სუფთა ჰაერს, თვალები უფუჭდებათ არა ბუნებრივი განათების გამო, ხორცი უყანგდებათ შავი ქვის ჭუჭყისაგან, ეს მუშები მუშაობდნენ თითქმის დილიდგან საღამომდის, მათთვის არ იყო მოსვენება და შეღავათი, მათთვის არ იყო კარგი სასმელი და საჭმელი, მათთვის არ იყო გარგი საწოლი და საგებელებულობდნენ მუშები ცოტა ხელფასს ამოდენა შრომისათვის; მუშების აგებულებამ ვერ აიტანა ამოდენი შრომა, ნერვები დაუსუსტდათ

მილიონები არ მუშაობენ, შემოუდგამთ ხელები წელზე, თავი ციალინდრაში გაუხვევიათ, ტანი ატლასით შეუმოსავთ ამ ვაჟბატონებს და ისე მედიდურად ჩამომიელიან ხოლმე საწყალ გოგია ბუშას. ამასანა უთანასწორობა უნდა მოისპოს, უნდა იშრომოს ყოველ ადამიანმა, ყოველი ადამიანი უნდა ირჩენდეს თავს თავის შრომით; შენი შრომია ნაშარი პური ძლიერ ტკბილია შვილო, წარმოიდგინეთ მეყანე კაცი როცა მუშაობს სიმინდში, და შუადღეზედ საჭილს მოუტანენ სახლიდან, ის დაღალული და გამძღარი მუშაობით დიდი მადით ჭამს საჭმელს; ჯერ ყანის მუშა აკოცებს მჭადს და ისე დაიწყებს ჭამას; აი თუ რა ტკბილია შენი შრომით პურის ჭამა. ვინაც ომობაში არათუ აკოცებს მჭადს და პურს არამედ ფეხითაც კი სთელავს მას, მუშამ რომ დაინახოს რომ მჭადზე ფეხი დადგი ის მაშინვე შამოგიყვარებს, რომ რას შვრები შენ საჭმელზე ფეხს ადგამ; შვილებო რა ტკბილია მუშაობა, შეხედეთ როგორ აფასებს მუშა თავის ნაშრომს და შეხედეთ როგორ აფასებს უმუშაოდ-მუქთახორა სხვის ნაშრომს. მე კი მუქთა ხორად არ გადვიქცევი, მე მიყვარს და მიყვარს შრომა, სანამ არ მოკვდები; მე მიყვარს და შევეწევიან ლუტანსაცმელობა, მუქთათ არ ვზიქარ, მაგრამ მაინც მშია და მშია; ბარემ დროთ თავზარი დაეცეს მუქთა ხორებს, ქვეყნის მყვლეფელებს, კაპიტალისტებს, და ისიც გადიქცნენ გრეგორ მუშებად, განა ვისია ეს დიდი სახლეები? ვინ გვაძლევნა მშვენიერი გზები? ვინ გააკეთა მშვენიერი ეტლ? ვინ დაბეადა წიგნები? ვინ აწყო ასოები? ვინ მოიწია პური? ყველაფერი რაც საქონელი არის გააკეთა მუშის ხელმა, და დღეს ამ საქონლებს დაბატონებენ ისინი, ვინც არ მუშაობენ, საწყალი მუშები უკმეელობით იხოცებიან ასობით და ათასობით; წარმოიდგინეთ პარიტის მშიერი მუშები, ინგლისის შაწინწალა მუშები, საწყალი პროლეტარიატს ყველა სიხლსასწრეს, ყველა კისერზე აჯდომა, იგი აკეთებს ატლასს და თვითონ კი იცვამს ძველ ტომარა ნაჭერს, იგი აკეთებს სახლებს თვითონ კი ფაცხებში და დამპალ ოთახებში ცხოვრობს, საწყალი პროლეტარიატის ტირილი და კვნესა მესმის და გულს მიკლავს, კაცი ვვიჟდები ამოტენა ძალმომრეობას როცა ვხედავ; გახსოვდეთ ამხანაგებო: „მუშის განთავისუფლება, თვით მუშების საიმეა“ კიდევ გეტყვით თქვენ კეკლუცნო და პირდაბანილნო; მე ვარ გოგია მუშა, მე გაძლევ თქვენ სასმელს და საჭმელს; ვმუშაობ და მშია, მაგრამ მოველი გაძღომას- ნუ გეწყინებათ გოგია მუშის სიტყვა პროლეტარიატნო მაგრამ გეწყინოსთ ბურჟუა-გაპატალისტებო.

ესჯანი.

ცოტა საჭმელის და სასმელის ჯამო; აბა წარმოიდგინეთ რა მდგომიარეობაში იქნება ეკი მაშინ, როცა ის მუშაობს დიდხანს და ამავე დროს აქვს ნაკლები სასმელი და საჭმელი, მაშინ ის უეჭველად დასუსტდება და დაუძლურდება; ასე იყვნენ ტუნელის მუშები, იგინი შეწუხდნენ ასე დიდი დროის მუშაობით და უჭმელობით, ან შეწუხებამ გამოიწვია მუშებში მითქმა მოთქმა და ლაპარაკი, ალაპარაკდნენ მუშები თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, ალაპარაკდნენ მუშები ლუკმა პურისთვის, და ცოლი და შვილის გამოსაკვების მოსაპოვებლად; ვაჭივრებამ ისინიც კი გამოაღვიძა და თვალები გაახელია; შეგნებულმა მუშებმა თავს იდვეს ამ საქმის რიგზე მოყვანა, დააწყვეს გეგმა თუ როგორ და რა მოეთხოვათ თავიანთ ხაზეინებისაგან. გეგმა ეს მდგომარეობდა იმაში, რომ მუშებისათვის დადგენილიყო კარგი და რიგიანი ხელფასი, მუშებისთვის დადგენილიყო რვა საათის სამუშაო დრო, მუშებს მისცემოდათ ბიბლიოთეკა და სხვები; ეს მოთხოვნილებები უნდა დაეკმაყოფილებინა ხაზეინს; ქვეით მოთხოვნილებებზე იყო დამატებული ჩვენ მუშები ვარო. ჩვენ ვმუშაობთ ვმუშაობთ დილიდან საღამომდის, ხაზეინები კი საათსაც არ მუშაობენ, ჩვენ შევქენით ამოდენა სიმდიდრე, ჩვენი ოფლით არის აშენებული თვით ზაოდი, ...ცით თქვენი სახლები ხაზეინო. ჩვენი შრომით არის რომ შენ ფუფუნებაში ცხოვრობ და ფულები ბანკში გაქვს შენახული, ჩვენი სისხლით და ოფლით არის, რომ თქვენ თეატრში და კარეტაში დასეირნობ ხაზეინო, ჩვენი შრომით არის, რომ შენ შვილები სასწავლებელში გყავს, ერთი სიტყვით ყველაფერი რასაც ხედავთ არის ჩვენ მუშების ხელით გაკეთებული და ჩვენ კი რა გვრჩება? არაფერი, ჩვენ ვერ სახლი აგვიშენებია ცოლ-შვილისათვის, ვერც ტანისამოსი გვიყიდნია, ჩვენ ჯამრთელობა დაგვიკარგავს, ჩვენ შვილები ვერ გამოგვიზდია სასწავლებელში, ჩვენ თეატრში ვერ წავსულვართ, ერთი სიტყვით ჩვენ ყველაფრამდის დავგლახებულვართ, დავჩაჩანეკებულვართ და თქვენ ხაზეინები კი ბედნიერებაში შესულხართ, რისთვის! იმისთვის რომ ჩვენ ვმუშაობთ და თქვენ არა, ეს იმისთვის რომ ჩვენ ტუნელში ვათენებთ ღამეს მუშაობით და თქვენ კი თეატრში და წარმოდგენებში დაბრძანდებით, არა და არა ამის მოთმენა შეუძლებელია ჩვენგან, თვით ზნეობრივი და უფლებრივი მხარე მოითხოვს რომ ეს საქმე წესიერად დაეწყოს! თუმც ყველაფერ რაც შენ გეკუთვნის ეს ჩვენი შექმნილია და ჩვენ გვეკუთვნის, მაგრამ ჯერ ჩვენ ვკმაყოფილდებით ცოტა მოთხოვნილებებით, რადგანაც ჯერ უფრო გამოუცდელი და შეუგნებელი ვართ, და როცა შევიგნებთ მაშინ მშვიდობით ხაზეინებო, ყველაფერს ჩამოგართმევთ და გადავ ყველა თქვენი სიმდიდრე მუშათა ხელში მუშებმა ერთხმათ მიიღეს ეს მოთხოვნილებები და წარმოუდგინეს ხაზეინს დასაკმაყოფილებლად. ხაზეინმა გადახედა თუ არა მუშების თხოვნას, არ მოეწონა მას მუშების გაბედულობა და პასუხი მუშებს მასცა ამნაირი: თქვენ; როგორც მუშებს, არა გაქვთ ნება რომ მოითხოვოთ ასეთი გაუმჯობესება, თქვენი საქმეა მხოლოდ მუშაობა, მუშაობა და მუშაობა ჩვენდა სასარგებლოთ, როგორ ბედავ თქვენ ამისთანა სიტყვების ლაპარაკს თქვენი უფროსის წინაშე.“ მუშებმა მიიღეს ცივი უარი თავიანთ თხოვნაზე, ისინი წინანდელზე უფრო მეტ დარდში და ფიქრში ჩავარდნენ, ხაზეინმა თითქმის მოკლებაც კი მოინდომა ხელფასის და გარდა ამისა რაეოდენიმე მუშები გულმოსულობის გამო დაითხოვა ადგილიდან; მუშებმა ძასიალი ისირცხვილეს ასეთი ხაზეინის თავგასულობა და მედიდურობა, მუშებმა ვერ მოითმინეს ასე მათი მოთხოვნილებების უყურადღებოდ მიტოვება. ამ დროს მუშების წრიდან გამოვიდა ერთი პირზედ შავი—ქვისაგან გასვრილი მუშა და სთქვა: ამბანმეგბთ! ჩვენ ასე არ გვარგია, ჩვენ თუ თხოვნებით და მორიდებით მივმართეთ მუქთახორებს არაფერი არ გაკეთდება, განა მუქთახორები ჩვენ რამე შეოლავათს მოგვცემენ! იგინმა არ იციან რა ~~არის გაჭივრება, არ იციან რა არის ტუნელში~~ მუშაობა, მაშ. ამხანაგებო, ჩვენი თხოვნები უბრალო ყოფილა, ჩვენი საქმე თვით ჩვენ უნდა განვაგოთ: „მუშის განთავისუფლება თვით

მუშის საქმეა“ სწერენ ანარქისტები, სწორეთ აგრე არის, მუშამ თავის ძალით უნდა გაუმჯობესოს თავისი საქმე, როგოც ისინი (ხაზეინები) ხმარობენ ჩვენ წინაღმდეგ ძალას, როგორც ისინი გვართმევენ ძალით ჩვენ ნამუშევარს სწორეთ ჩვენც ძალა უნდა ვუჩვენოთ ბურჟუა-კაპიტალისტ ხაზეინებს, ჩვენც ძალით უნდა ვიშოვოთ ჩვენი თავისუფლება; აბა ბიჭებო ჩვენ უნდა გავიფიცოთ! მივატოვოთ მუშაობა მანამდი, სანამ არ დაკმაყოფილონ ჩვენი მოთხოვლინებანი, იქნება დაგვწყვიტონ ამისათვის, იქნება გვცემონ, მაგრამ ყველაფერი უნდა ავიტანოთ, რაკი გვეცოდინება რომ სიმართლისათვის ვიბრძვით; დღეანდელი დამარცხება ნუ შეგვაშინებს, გახსოვდეთ ამხანაგებო, რომ ბრძოლის დროს ერთი რომელიმე მოწინააღმდეგე უნდა დამარცხდეს და თუ ჩვენ ვმარცხდებით დღეს ეს იმისთვის, რომ ძალა მტერისა ჩვენ ძალაზე უფრო დიდია, მაგრამ როცა ჩვენი ძალა ჩვენ მტერზე დიდი იქნება, მაშინ ჩვენ ვაჯობებთ; ჩვენი ძალა ყოველდღე იზრდება და ბურჟუა-კაპიტალისტ ხაზეინების კი მცირდება.“ „გაუმარჯოს ამხანაგს“ დაიყვირეს მუშებმა და ერთხმათ გამოვიდნენ ზალიდგან, ბინიდან ქუჩებზე და აუშვეს წითელი დროშა, შამოსძახეს სარეოლიუციო სიმღერები და ამნაირი დიდებით აიარ-ჩამოიარეს ქუჩები, მერმე მიადგნენ ხაზეინის სახლს და დაუშინეს ქვები ფანჯრებს და სახურავს—„ჩვენი აშენებულია და რატომ წაგვართვი“—ყვიროდნენ მუშები მაგარის და გაბედულის ხმით. არ გასულა საათი რომ ხაზეინმა კაცი აფრინა ჯარის უფროსთან და გააგებინა ეს ამბავი. ჯარის უფროსმა საჩქაროთ განკარგულება მოახდინა და გამოიყვანა ორასამდე სალდათები თავის პატრონებით და თოფებით და გადაეღობა გზაზე მომავალ მუშებს უფროსმა უბრძანა მუშებს, რომ დროშა მიეცათ მისთვის და დაშლილიყვნენ, მაგრამ მუშებმა დროშის მიცემის ნაცვლად დაუშინეს ჯარს ქვები და უძახოდნენ მას (ჯარს): „გაგვშორდით, თქვენც ჩვენი ძმები ხართ,“ მაგრამ უფროსის ბრძანებით სალდათებმა დაერიენენ მუშებს, უიარაღო ხალხს, დაუწყეს ცემა თოფებით საწყალ მუშაობით დაღალულ, პირგაშავებულ, ჩაღლეტილ-ჩაგლეჯილ მუშებს, ბევრი მუშა მოკლულ იქმნა ცემისაგან, ბევრი შტიკის წვერზე წამოაგეს; ერთი მუშა ყვიროდა გაბედულად: „რას გვერჩით, ჩვენი ნაშრომი მოვითხოვეთ,“ აი ამ მუშას, რომელმაც ეს სიტყვები დაიძახა, გამოეკიდა ერთი სალდათი, დაეწია და მუცელში შტიკი გაუყარა; კვდებოდა საწყალი მუშა და იძახოდა: „მომკლეს პეტრე გოგიაძე.“ ამ სიტყვების გაგონებით სალდათი შეფიქრდა და მან შეეკითხა მომაკვდავ მუშაც „შენ ვინ ხარ?“—„მე ვარ პეტრე გოგიაძე სოფელ ნიგვზიანიდგან და რაკი მომკალი გაბარებ, რომ ჩემ ძმას უთხარი ჩემი სიკვდილის ამბავი, მე ძმა მყავს სალდათში, მას ქვია სახელად პლატონი, „წამოიძახა პეტრემ; ეს სიტყვა რომ გაათავა მუშამ სალდათი იქვე წაიკვეა, დაიწყო ტირილი და ყვირილი. ძმაო პეტრე მე ვარ შენი ძმა, შენ ხარ ჩემი ძმა, ჩვენ ორივენი ერთი დედ მამის შვილები ვართ, ერთად ვეამდით და ერთად ვსვამდით, შენ მე მიგზავნიდი ფულს, მარჩენდი მეც და დედ-მამასაც, დღეს კი ეკუა დამეკარგა და ავიღე თოფი ჩემი ძმის წინააღმდეგ, მე, ძმაო, შენ ვერ გიცანი, პირი შავი ქვისაგან ჰქონდა გაშავებული, ვერ გიცანი და მოვკალი, აწი კი მე არ მწამს ჩემი უფროსი, რომელიც მასწავლის ძმის მოკვლას,“ სალდათი მობრუნდა დაუმიზნა თოფი უფროსს და იქვე მოკვლა; სალდათმა სხვებმა ... სხვა სალდათებიც გადმოვიდნენ იმის აზრზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ᲥᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ“ საბეჭდავი ᲨᲘᲚᲐᲫᲘᲡ და ამხან. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ. რედაქტორ-გამომცემელი ᲡᲘᲛᲝᲜ ᲯᲝᲠᲯᲐᲫᲔᲜᲐᲫᲔ.